03

ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 10.02/10/55

ქ. თბილისი 06 თებერვალი, 2019 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (ადმინისტრაციის უფროსი) ვლადიმერ ჭიღლაძის სახით და მეორეს მხრივ, სს „სადაზღვევო კომპანია უნისონი" (შემდგომში _ მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ვასილ ახრახაძის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტი, შესყიდვის საშუალება, ხელშეკრულების ღირებულება და ხელშეკრულების მოქმედების ვადა

2.1 ხელშეკრულების საგანია: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკუთრებაში არსებული (დანართი N2-ით განსაზღვრული) ავტომანქანების დაზღვევის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს მე-13 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის, *„ქალაქ თბილისის მერიისთვის სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2019 წლის 5 თებერვლის N673 განკარგულებით მინიჭებული თანხმობისა (SMP190000703)* და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 31 იანვრის N1-37 ბრძანების შესაბამისად.

2.2 ხელშეკრულების ობიექტია: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკუთრებაში არსებული (დანართი N2-ით განსაზღვრული) ავტომანქანების დაზღვევის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა. ტექნიკური დავალება (დანართი N1) და მომსახურების ხარჯთაღრიცხვა (დანართი N2) თან ერთვიან ხელშეკრულებას და წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს.

2.3 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 14 890.26 (თოთხმეტიათას რვაასოთხმოცდაათი ლარი და ოცდაექვსი თეთრი) ლარს, ყველა ხარჯისა და გადასახადის ჩათვლით.

2.4 კლასიფიკატორის კოდი: 66514110 - ავტოტრანსპორტის დაზღვევა.

2.5 ხელშეკრულება ძალაშია ხელშეკრულების გაფორმებიდან 2019 წლის 31 მარტის ჩათვლით.

3. მომსახურების გაწევის ვადა, ადგილი და პირობები

3.1 მომსახურების გაწევის ვადა - 2019 წლის 7 თებერვლიდან 2019 წლის 28 თებერვლის ჩათვლით, ან სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს" მიერ გამოცხადებული კონსოლიდირებული ტენდერით გამარჯვებულად გამოვლენილ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმებამდე.

3.2 მომსახურების გაწევის ადგილი - საქართველოს მასშტაბით.

4. გასაწევი მომსახურების ხარისხი

4.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

4.2 მიმწოდებელი ველდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს უხარისხოდ შესრულებული მომსახურების ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება)

5.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი, რათა შეამოწმონ გაწეული მომსახურების ხარისხი, კონტრაქტით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.

5.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის (ინსპექტირების) განხორციელებისათვის აუცილებელი პერსონალისა და ტექნიკური საშუალებების გამოყოფა, ასევე უზრუნველყოს საჭირო სამუშაო პირობები. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაცია ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვითონ შემსყიდველი ორგანიზაცია.

5.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

5.4 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (ადმინისტრაციის უფროსი) ან/და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის ლოჯისტიკის სამსახურის თანამშრომლები.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

6.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (ადმინისტრაციის უფროსი).**

7. ანგარიშსწორება და ანგარიშსწორების ვალუტა

7.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

7.2 ანგარიშსწორება განხორციელდება 2019 წლის ბიუჯეტის სახსრებით, მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად, მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

7.3 იმ შემთხვევაში, თუ ამ ხელშეკრულების მე-13 მუხლით გათვალისწინებული წესით საჯარიმო სანქციის გამოყენებასთან დაკავშირებით შეტყობინებიდან 10 (ათი) კალენდარულ დღეში მიმწოდებლის მიერ არ იქნა წარმოდგენილი საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, შემსყიდველი ვალდებულია მიღება-ჩაბარების აქტით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურებისას, ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა შემსყიდველის მიერ დაქვითულ იქნეს, რის შემდეგაც მიმწოდებელს ჩაერიცხება დარჩენილი თანხა.

7.4 წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

(საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა და გადახდის ვადები)

8.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.

8.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების (გარდა შესრულების ვადის დარღვევისა) შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმის გადახდა ყოველ ჯერზე ხელშეკრულების ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.

8.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1 %-ის ოდენობით.

8.4 ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმა ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

8.5 საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილ უნდა იქნას მხარისთვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი ჯარიმის დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

8.6 თუ შემსყიდველი არ ასრულებს წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.2 პუნქტის მოთხოვნებს, დაეკისრება პირგასამტეხლო, მიმწოდებლისათვის ჩასარიცხი თანხის 0,02%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

8.7 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს ხელშეკრულების მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.

9.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.

9.3 ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.5 შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ, მათ შორის შემდეგ შემთხვევებში:

ა) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ორჯერ დარღვევის შემთხვევაში;

ბ) კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, მათ შორის მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ნებისმიერი ისეთი დარღვევის დროს, რაც შეუძლებელს ხდის ნორმალური სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებას, ან იწვევს შემსყიდველის ინტერესის დაკარგვას სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებისადმი.

10. ფორს-მაჟორი

10.1 ფორს-მაჟორი - სტიქიური მოვლენები, გაფიცვები, საბოტაჟი ან სხვა საწარმოო არეულობა, სამოქალაქო მღელვარება, ომი, ბლოკადა, აჯანყება, მიწისძვრა, მეწყრების ჩამოწოლა, ეპიდემია, წყალდიდობა და სხვა მსგავსი მოვლენები, რომელიც არ ექვემდებარება მხარეთა კონტროლს და რომელთა თავიდან აცილებაც მათ მიერ შეუძლებელია. ფორს-მაჟორად არ ითვლება მიმწოდებლის ფინანსური მდგომარეობის გაუარესება, თუ ეს ჩამოთვლილ მოვლენებთან არ არის დაკავშირებული. ამ დროს მხარეებს შორის ხელშეკრულების შესაბამისად

გადასახდელ თანხაზე ფორს-მაჟორის შემთხვევაში გათვალისწინებული შეღავათები არ ვრცელდება.
10.2 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.
10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობის და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.
10.4 იმ შემთხვევაში, თუ ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო იცვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე პირობა, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
11.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება (მათ შორის მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტა) უნდა გაფორმდეს წერილობით - მხარეთა შეთანხმების სახით და დანართის სახით უნდა დაერთოს ხელშეკრულებას. მხარეთა წერილობითი შეთანხმება ცვლილების თაობაზე, ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. ღირებულება

12.1 მიმწოდებლის მიერ შემოთავაზებული შესასრულებელი ვალდებულების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებას.
12.2 მხარეთა შეთანხმებით დასაშვებია ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა.
12.3 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
12.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
12.5 ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

13. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის

13.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება ტელეფონის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის გაგზავნის გზით, სადაც გაგზავნილი შეტყობინება/დაკვეთა ჩაითვლება ოფიციალურ დაკვეთად. შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით. ამასთან ტელეფონით დაკვეთის შემთხვევაში მიმწოდებელს 24 საათის განმავლობაში ჩართული უნდა ჰქონდეს 13.2 პუნქტში მითითებული მობილური და ქალაქის ტელეფონის ნომრები.
13.2 ტელეფონით, ელექტრონული ფოსტით ან/და ფაქსით ურთიერთობისათვის გამოყენებულ იქნება:
ა) მიმწოდებლის შემდეგი რეკვიზიტები: საკონტ. პირი ქ-ნი მარიკა ლუტიძე, მობილური ტელეფონის ნომერი: 577-00-07-60; ელექტრონული ფოსტა: mlutidze@unison.ge
ბ) შემსყიდველის შემდეგი რეკვიზიტები: საკონტ. პირი: ბ-ნ გიორგი ქვაჩახია, მობილური ტელეფონის ნომერი: 577-15-15-52; ელექტრონული ფოსტა: g.kvachakhia@tbilisi.gov.ge
13.3 ხელშეკრულებაში მონაწილე ორივე მხარე ვალდებულია, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში საკონტაქტო პირ(ებ)ის ან ინფორმაციის ცვლილება წერილობითი სახით აცნობოს მეორე მხარეს.
13.4 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ მათ შორის წარმოქმნილი ნებისმიერი დავა შესაძლებელია გადაწყდეს მხარეთა შეთანხმებით, ხოლო ასეთის მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს სასამართლოს მიერ.
14.2 ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი

მუხლები.

14.3 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

15. სხვა პირობები

15.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

15.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და სამი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.3 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

15.4 „ხელშეკრულების“ მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი დანომრილია და დასათაურებულია მხოლოდ მოხერხებულობისათვის და ამ ფაქტს „ხელშეკრულების“ ინტერპრეტაციისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება. მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის დასათაურებაში ან დანომვრაში ცდომილების/სხვაობის არსებობის შემთხვევაში, გამოიყენება ამავე მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის შესაბამისი შინაარსის მქონე მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი ან/და ქვეპუნქტ(ებ)ი.

15.5 „ხელშეკრულების“ ტექსტში მექანიკური ან/და ტექნიკური შეცდომის ან/და ხარვეზის არსებობის შემთხვევაში „მხარეთა“ მიერ, აღნიშნული შეცდომა ან/და ხარვეზი განხილული და განმარტებული უნდა იყოს „ხელშეკრულების“ შესაბამისი წინადადების (წინადადებების) ან/და შინაარსიდან გამომდინარე. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული შეცდომა ან/და ხარვეზი არ შეესაბამება „ხელშეკრულების“ სათანადო წინადადებას/წინადადებებს ან შინაარს, მას (ხარვეზი/შეცდომა) „ხელშეკრულების“ შინაარსის განმარტებასთან დაკავშირებით არ ექნება (არ მიენიჭება) რაიმე მნიშვნელობა.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7
სახელმწიფო ხაზინა
კოდი: TRESGE22
ა/ა № GE24NB0330100200165022
ს/კოდი: 204521794

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის ადმინისტრაციის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი (ადმინისტრაციის უფროსი)

ბ. ჭოღლაძე

მიმწოდებელი:

სს „სადაზღვევო კომპანია უნისონი“
მის: ქ. თბილისი, გამრეკელის ქ. N19, სართული 1
სს „ტერა ბანკი“
კოდი: TEBAGE22
ა/ა: GE81KS0000000360800074
ს/ კოდი: 404393152

სს „სადაზღვევო კომპანია უნისონი“ - ს

გენერალური დირექტორი

ვ. ახრახაძე

3.0

უნისონი
სადაზღვევო კომპანია
404393152
სს სადაზღვევო კომპანია უნისონი
JSC INSURANCE COMPANY UNISON

Insurance Company Unison JSC
Digitally signed by Insurance Company Unison JSC
Date: 2019.02.13 16:34:17 +04'00'

ტექნიკური დავალება

1 ავტომანქანების სრული დაზღვევა მოიცავს:
1.1 ავტოსატრანსპორტო საშუალების გატაცებას, ქურდობას, ძარცვას, ყაჩაღობას და ვანდალიზმის ფაქტებს;
1.2 ავტოსატრანსპორტო საშუალების ან მისი ნაწილების დაზიანებას ან განადგურებას, რაც გამოწვეულია ავტოსაგზაო შემთხვევით (არ აქვს მნიშვნელობა ვისი მიზეზით მოხდება ავარია), ხანძრით, თვითაალებით, ძეხის დაცემით ან/და აფეთქებით, მესამე პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედებით, ვანდალიზმით, რაიმე საგნის დაცემით, სტიქიური უბედურებებით (მათ შორის: მიწისძვრა, სეტყვა) ან უბედური შემთხვევით (მოულოდნელი მოვლენა, რომელმაც გამოიწვია დაზიანება გარეშე და აშკარა მიზეზებით);
1.3 ავტოსატრანსპორტო საშუალების კომპლექტაციაში არსებული ნებისმიერი დეტალის (ან/და დამატებითი აღჭურვილობის), მინების, სარკეების და ა.შ. ქურდობას, ძარცვას და ყაჩაღობას;
1.4 სადაზღვევო შემთხვევის დროს, ასევე ნაწილობრივი დაზიანებისას სადაზღვევო თანხის ფარგლებში ავტოსატრანსპორტო საშუალების ევაკუაციასთან დაკავშირებული ხარჯები, ავტომანქანის საჯარიმო სადგომზე გადაყვანის შემთხვევაში გამოყვანასთან დაკავშირებული ხარჯები;
1.5 უფლებამოსილი მძღოლების და მისი მგზავრების დაზღვევა უბედური შემთხვევისაგან (ლიმიტი ერთ ავტომანქანაზე არანაკლებ 10 000 (ათი ათასი) ლარი ჯამურად, სუბლიმიტი ერთ პირზე არანაკლებ 2 000 (ორი ათასი) ლარი) დაზღვევა - ფრანშიზა 0%;
1.6 მესამე პირთა წინაშე პასუხისმგებლობის დაზღვევა - იფარება შემსყიდველის (დამზღვევის) პასუხისმგებლობა აანაზღაუროს მესამე პირის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა ან/და ქონებისათვის სატრანსპორტო საშუალებით მიყენებული ზიანი (ლიმიტი ერთ ავტომობილზე არანაკლებ 10 000 (ათი ათასი) ლარი - ფრანშიზა 0%. ამასთან, თუ ზარალი ექვემდებარება ანაზღაურებას წინამდებარე პირობებით, უზრუნველყოფილი უნდა იყოს დაზარალებული მესამე პირის შემთხვევის ადგილიდან რეანიმობილით ტრანსპორტირება შესაბამის კლინიკაში და მკურნალობასთან დაკავშირებული ყველანაირი ხარჯის ანაზღაურება, დაზარალებულის ნებისმიერი სახით მონაწილეობის გარეშე. მესამე მხარის მიმართ პასუხისმგებლობის დაზღვევისას ანაზღაურებას დაექვემდებარება თანხა, რომლის გადახდასაც დაზღვეულს დააკისრებს სასამართლო მის მიერ დაზღვეული ავტომობილით მესამე მხარისათვის მიყენებული ზიანისათვის);
1.7 სასამრთლო გადაწყვეტილების გარეშე მესამე პირი(ებ)სათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება შესაძლებელია, თუ ამგვარი ზიანის ოდენობა წერილობითი გზით, შეთანხმებულია მზღვეველთან და თუ დაზარალებული წერილობით დაადასტურებს, რომ მას არ გააჩნია არავითარი პრეტენზია სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებით;
1.8 კომპანიის მიერ ზარალის ანაზღაურების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემდგომ, მზღვეველი უფლებამოსილია დაზიანებული სატრანსპორტო საშუალება დამზღვევთან შეთანხმების საფუძველზე გადაიყვანოს შემკეთებელ სერვის-ცენტრ(ებ)ში (ამასთან,იმ ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეფასება და მომსახურება, რომელზეც ვრცელდება საგარანტიო პირობები უნდა განხორციელდეს საქართველოში არსებული კონკრეტული მარკის სადილერო სერვის ცენტრებში (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ხოლო დანარჩენი სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურეობა (ასევე, იმ ავტოტრანსპორტის მომსახურეობა, რომელსაც არ გააჩნია კონკრეტული მარკის სადილერო ცენტრი) უნდა განხორციელდეს მხარეთა შორის ერთობლივად შერჩეულ შემკეთებელ საწარმოში), სადაც წინასწარ შეთანხმებულ დღეს დამზღვევის წარმომადგენლის თანდასწრებით ხორციელდება ავტომანქანის ტექნიკური დათვალიერება და ხდება შესაბამისი დეფექტური აქტ(ებ)ის შედგენა დაზიანებული სატრანსპორტო საშუალებების ან მისი ნაწილების აღდგენისათვის ან შეცვლისათვის საჭირო თანხის მითითებით.
1.9 ავტოსატრანსპორტო დაზღვევა ნულოვანი ფრანშიზმით;
1.10 ავტოტრანსპორტის განადგურებად ჩაითვლება ზიანი, რომლის დროსაც აღდგენითი შეკეთების ღირებულება აღემატება მისი საბალანსო ღირებულების 80 %-ს. სრული განადგურების შემთხვევაში მზღვეველი, გასცემს შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალებით განსაზღვრულ სადაზღვევო ანაზღაურებას სადაზღვევო თანხის ფარგლებში, რომელიც მიიმართება სახელმწიფო ბიუჯეტში იგივე ოდენობით, რა ოდენობითაც დადგენილია მისი ნარჩენი საბალანსო ღირებულება (მათ შორის არ იანგარიშება ყოველთვიური ცვეთა) ან დამზღვევის სასარგებლოდ, სადაზღვევო თანხის ფარგლებში შეიძენს ალტერნატიულ სატრანსპორტო საშუალებას; რის შემდეგაც, დამზღვევი უზრუნველყოფს მზღვეველზე განადგურებული ავტოტრანსპორტის გადაფორმებას; ნაწილობრივი დაზიანებისას სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა შეცვლილი ნაწილების მზღვეველისათვის გადაცემის შემდეგ, მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე;
1.11 24 საათიანი სატელეფონო ასისტანსი;
1.12 ყველა შემთხვევაზე ფრანშიზა - 0%;
1.13 ავტოტრანსპორტის სრულ დაზიანებამდე (განადგურება) ჩაითვლება ზიანი, რომლის დროსაც აღდგენითი შეკეთების ღირებულება მისი საბალანსო ღირებულების 80%-ს ან მეტს შეადგენს ან განადგურებულია ავტომანქანის 80% ან მეტი;

2. ზიანის ოდენების განსაზღვრა და სადაზღვეო ანაზღაურების გაცემა:

2.1 ავტოსაგზაო შემთხვევის დადგომის შესახებ დამზღვევის მიერ მზღვეველისათვის შეტყობინებიდან არაუმეტეს 2 სამუშაო დღის ვადაში მზღვეველმა უნდა გააგზავნოს წერილობითი მოთხოვდა შესაბამის ორგანოში, ავტოსაგზაო შემთხვევასთან დაკავშირებული ყველა საჭირო დოკუმენტაციის გამოთხოვასთან დაკავშირებით (საჭიროების შემთხვევაში დამზღვევი უზრუნველყოფს მზღვეველს შესაბამისი მინდობილობით), ყველა საჭირო დოკუმენტის მიღებიდან და ზარალის დაანგარიშებიდან (ხარჯთაღრიცხვა) არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის განმავლობაში მზღვეველმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება ზიანის ანაზღაურების შესახებ. დადებითი გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღეში უნდა შედგეს სადაზღვევო შემთხვევის აქტი და აქტზე მხარეთა ხელმოწერიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღეში უნდა მოხდეს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა; ამასთან, იმ შემთხვევაში თუ მზღვეველის მიერ მოპოვებულ საპატრულო ოქმში არ იქნება მითითებული ინფორმაცია შემთხვევის მოხდენის მომენტში მძღოლის სიფხიზლის შესახებ, დამზღვევმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული ცნობა, რომელიც ასახავს აღნიშნულ ინფორმაციას;

2.2 სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, როდესაც ამ უკანასკნელის არსებობა ეჭვს არ იწვევს და შესაბამისად არ საჭიროებს საგამოძიებო ღონისძიებების გატარებას, ზარალი უნდა დარეგულირდეს დოკუმენტაციის სრულად მოგროვებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის განმავლობაში და სადაზღვევო ანაზღაურება უნდა გაიცეს არაუგვიანეს სადაზღვევო შემთხვევის შესახებ აქტზე მხარეთა მიერ ხელმოწერიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღის განმავლობაში.

2.3 ავტოტრანსპორტის დაზიანებისას ზიანის ოდენობა დაანგარიშდება მზღვეველის ექსპერტის მიერ შედგენილი და/ან დაზღვეულის მიერ წარმოდგენილი კალკულაციის საფუძველზე. ექსპერტიზის ხარჯებს ანაზღაურებს ექსპერტიზის მომთხოვნი მხარე. ზიანის ოდენობაში შევა აგრეთვე დამზღვევის (დაზღვეულის) მიერ გაწეული ხარჯი, რომელსაც ის მზღვეველთან შეთანხმებით გაიღებს დაზიანებული სატრანსპორტო საშუალების ტრანსპორტირებისათვის უახლოეს სარემონტო ადგილამდე, თუ დაზიანებულ ავტოტრანსპორტს დამოუკიდებლად მოძრაობა არ შეეძლება.

2.4 ავტოტრანპორტის ქურდობის, ძარცვის, ყაჩაღობის ან განადგურებისას სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება სადაზღვევო თანხის მიხედვით, მაგრამ არაუმეტეს ავტომობილის საბალანსო ღირებულებისა;

2.5 ავტოტრანსპორტის ქურდობის, ძარცვის, ყაჩაღობის ან განადგურების რისკებით დამდგარი სადაზღვევო შემთხვევით გათვალისწინებული სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის შემდეგ, სადაზღვევო პოლისი, შესაბამის ავტოტრანსპორტთან მიმართებაში გაუქმდება და სადაზღვევო თანხა შემსყიდველის მიერ დარჩენილ პერიოდზე არ გადაიხდება;

2.6 მესამე მხარის მიმართ პასუხისმგებლობის დაზღვევისას ანაზღაურებას ექვემდებარება თანხა, რომლის გადახდასაც დაზღვეულს დააკისრებს სასამართლო მის მიერ დაზღვეული ავტომობილით მესამე მხარისათვის მიყენებული ზიანისათვის. იმ შემთხვევაში, თუ ერთი შემთხვევის შედეგად დაზარალდება რამდენიმე მესამე პირი, ხოლო დაზღვეულზე დაკისრებული ჯამური პასუხისმგებლობის ოდენობა გადაჭარბებს პოლისში მითითებულ ანაზღაურების ლიმიტს, ანაზღაურება ყოველი მხარის მიმართ მოხდება პროპორციულად (მისი ზარალის წილის შესაბამისად საერთო ზარალში);

2.7 სადაზღვევო შემთხვევის შემდგომ, სადაზღვევო თანხა შემცირდება მანამდე ანაზღაურებული თანხ(ებ)ის ოდენობით.

3. დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვის უფლებამოსილება უნდა ჰქონდეს ნებისმიერ პიროვნებას, რომელსაც გააჩნია მოქმედი მართვის მოწმობა.

4. გამონაკლისები:

4.1 თუ უფლებამოსილი მძღოლი მართავდა ავტოტრანპორტს ალკოჰოლური, ნარკოტიკული, ფსიქოტროპული ან იმ პრეპარატების ზემოქმედების ქვეშ, რომლებიც უკუჩვენებაშია ავტოტრანპორტის მართვასთან;

4.2 რომელიც წარმოიშვა დაზღვევის სრული არეალის ფარგლებს გარეთ;

4.3 თუ დაზღვეული ავტოტრანპორტი გადატვირთულია, მგზავრთა რაოდენობა აღემატება დასაშვებს ან გამოიყენება შეუსაბამო საგზაო პირობებში (ავტოტრანსპორტი გამოიყენება ადგილებში, რომლებიც არაა განკუთვნილი ავტოტრანსპორტის მოძრაობისათვის);

4.4 თუ დაზღვეული ავტოტრანსპორტი გატაცებულია მასში დატოვებული ავტოტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობით და/ან გასაღებით და/ან ღია კარებით/ფანჯრებით ან გამოწვეულია მესამე პირის მიერ დაზღვეული ავტოტრანსპორტის ხელში ჩაგდებით მძღოლის ხელშეწყობით;

4.5 თუ ავტოტრანსპორტი დაზიანდა მისი ტვირთის სახით გადატანისას;

4.6 საბურავების/დისკის დაზიანება თუ ამის მიზეზი არ არის საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა;

4.7 ანაზღაურებას არ ექვემდებარება ზარალი, რომელიც საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, მზღვეველს ანიჭებს უფლებამოსილებას უარი განაცხადოს სადაზღვევო ანაზღაურებაზე;

4.8 დაზღვეული ავტოტრანპორტის უფლებამოსილი მძღოლი საპირისპირო მიმართულების სამოძრაო ზოლში, ორმაგი და უწყვეტი ღერძულა ხაზის გადაკვეთის, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევით გადაადგილდება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს გამოწვეულია მესამე მხარის სიცოცხლის და/ან ქონების გადარჩენის აუცილებლობით;

4.9 გამოწვეულს ფეთქებად საშიში, თვითაალებადი ნივთიერების ან საგნების ავტოტრანსპორტით გადაზიდვისას;
4,10 ავტოტრანსპორტის დაზღვევამდე არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ჩატარებული სამუშაოებით;
4.11 გამოწვეულს დაზღვეული ავტოტრანსპორტის კონსტრუქციული დეფექტებით;
4.12 სადაზღვევო შემთხვევის დადგომამდე არსებული დაზიანებით;
4.13 გამოწვეულს ცვეთა, კოროზია, ჟანგვა, მექანიკური, პროგრამული ან ელექტროობის გაუმართაობით;
4.14 რომელსაც ადგილი ჰქონდა თვითმკვლელობის/თვითდასახიჩრების ან ამის მცდელობისას;
4.15 რომელსაც ადგილი ჰქონდა დამზღვევის ან მისი წარმომადგენლის განზრახ ჩადენისას;
4.16 ისეთი ფორს-მაჟორული გარემოებისას დამდგარი ზიანი, როგორიცაა მასობრივი არეულობები, საომარი მოქმედებები, ტერორისტული აქტები;
4.17 დაზღვეული ავტოტრანსპორტი იძებნება და/ან ავტოტრანპორტის მახასიათებლები არ ემთხვევა მისი VIN კოდის შესაბამი მახასიათებლებს;
5. გაყალბება: თუ დამზღვევი ან მოსარგებლე რაიმე ხერხით გააყალბებს ან შეეცდება, რომ გააყალბოს სადაზღვევო შემთხვევა (ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დეტალი), მზღვეველს უფლება აქვს არ აანაზღაუროს შესაბამისი ზარალი. ეს პირობა ვრცელდება აგრეთვე იმ შემთხვევებზეც, როდესაც დამზღვევი შეგნებულად ზრდის ზარალის თანხას ან აწვდის მზღვეველს ყალბ ინფორმაციას.

მომსახურების ხარჯთაღრიცხვა

N	მარკა/მოდელი	მოდელი	სახელმწიფო ნომერი	გამოშვების წელი	საბალანსო ღირებულება	სადაზღვევო პრემია 1 დღის (ლარი)	სადაზღვევო პრემია 7 თებერვლიდან 28 თებერვლის ჩათვლით (ლარი)
1	ჰიუნდაი	იონიკი	CG809CG	2018	55047	9.49	208.78
2	ჰიუნდაი	იონიკი	CG806CG	2018	55047	9.49	208.78
3	ჰიუნდაი	იონიკი	CG753CG	2018	55047	9.49	208.78
4	ჰიუნდაი	იონიკი	CG759CG	2018	55047	9.49	208.78
5	ჰიუნდაი	იონიკი	CG782CG	2018	55047	9.49	208.78
6	ჰიუნდაი	იონიკი	CG780CG	2018	55047	9.49	208.78
7	ჰიუნდაი	იონიკი	CG812CG	2018	55047	9.49	208.78
8	ჰიუნდაი	იონიკი	CG792CG	2018	55047	9.49	208.78
9	ჰიუნდაი	იონიკი	CG791CG	2018	55047	9.49	208.78
10	ჰიუნდაი	იონიკი	CG773CG	2018	55047	9.49	208.78
11	ჰიუნდაი	იონიკი	CG775CG	2018	55047	9.49	208.78
12	ჰიუნდაი	იონიკი	CG776CG	2018	55047	9.49	208.78
13	ჰიუნდაი	იონიკი	CG749CG	2018	55047	9.49	208.78
14	ჰიუნდაი	იონიკი	CG783CG	2018	55047	9.49	208.78
15	ჰიუნდაი	იონიკი	CG804CG	2018	55047	9.49	208.78
16	ჰიუნდაი	იონიკი	CG789CG	2018	55047	9.49	208.78
17	ჰიუნდაი	იონიკი	CG788CG	2018	55047	9.49	208.78
18	ჰიუნდაი	იონიკი	CG787CG	2018	55047	9.49	208.78
19	ჰიუნდაი	იონიკი	CG763CG	2018	55047	9.49	208.78
20	ჰიუნდაი	იონიკი	CG762CG	2018	55047	9.49	208.78
21	ჰიუნდაი	იონიკი	CG758CG	2018	55047	9.49	208.78
22	ჰიუნდაი	იონიკი	CG786CG	2018	55047	9.49	208.78
23	ჰიუნდაი	იონიკი	CG785CG	2018	55047	9.49	208.78
24	ჰიუნდაი	იონიკი	CG811CG	2018	55047	9.49	208.78
25	ჰიუნდაი	იონიკი	CG801CG	2018	55047	9.49	208.78
26	ჰიუნდაი	იონიკი	CG799CG	2018	55047	9.49	208.78
27	ჰიუნდაი	იონიკი	CG798CG	2018	55047	9.49	208.78
28	ჰიუნდაი	იონიკი	CG797CG	2018	55047	9.49	208.78
29	ჰიუნდაი	იონიკი	CG795CG	2018	55047	9.49	208.78
30	ჰიუნდაი	იონიკი	CG793CG	2018	55047	9.49	208.78
31	ჰიუნდაი	იონიკი	CG757CG	2018	55047	9.49	208.78
32	ჰიუნდაი	იონიკი	CG756CG	2018	55047	9.49	208.78
33	ჰიუნდაი	იონიკი	CG755CG	2018	55047	9.49	208.78
34	ჰიუნდაი	იონიკი	CG754CG	2018	55047	9.49	208.78
35	ჰიუნდაი	იონიკი	CG807CG	2018	55047	9.49	208.78
36	ჰიუნდაი	იონიკი	CG781CG	2018	55047	9.49	208.78
37	ჰიუნდაი	იონიკი	CG771CG	2018	55047	9.49	208.78
38	ჰიუნდაი	იონიკი	CG772CG	2018	55047	9.49	208.78
39	ჰიუნდაი	იონიკი	CG778CG	2018	55047	9.49	208.78
40	ჰიუნდაი	იონიკი	CG779CG	2018	55047	9.49	208.78
41	ჰიუნდაი	იონიკი	CG774CG	2018	55047	9.49	208.78
42	ჰიუნდაი	იონიკი	CG805CG	2018	55047	9.49	208.78
43	ჰიუნდაი	იონიკი	CG803CG	2018	55047	9.49	208.78
44	ჰიუნდაი	იონიკი	CG768CG	2018	55047	9.49	208.78

45	ჰიუნდაი	იონიკი	CG751CG	2018	55047	9.49	208.78
46	ჰიუნდაი	იონიკი	CG752CG	2018	55047	9.49	208.78
47	ჰიუნდაი	იონიკი	CG790CG	2018	55047	9.49	208.78
48	ჰიუნდაი	იონიკი	CG766CG	2018	55047	9.49	208.78
49	ჰიუნდაი	იონიკი	CG765CG	2018	55047	9.49	208.78
50	ჰიუნდაი	იონიკი	CG784CG	2018	55047	9.49	208.78
51	ჰიუნდაი	იონიკი	CG810CG	2018	55047	9.49	208.78
52	ჰიუნდაი	იონიკი	CG750CG	2018	55047	9.49	208.78
53	ჰიუნდაი	იონიკი	CG802CG	2018	55047	9.49	208.78
54	სუზუკი	ვიტარა	GG721SG	2018	48000	8.27	181.94
55	სუზუკი	ვიტარა	GG722SG	2018	48000	8.27	181.94
56	სუზუკი	ვიტარა	GG724SG	2018	48000	8.27	181.94
57	სუზუკი	ვიტარა	GG720SG	2018	48000	8.27	181.94
58	სუზუკი	ვიტარა	GG717SG	2018	48000	8.27	181.94
59	სუზუკი	ვიტარა	GG725SG	2018	48000	8.27	181.94
60	სუზუკი	ვიტარა		2018	48000	8.27	181.94
61	სუზუკი	ვიტარა		2018	48000	8.27	181.94
62	სუზუკი	ვიტარა		2018	48000	8.27	181.94
63	სუზუკი	ვიტარა		2018	48000	8.27	181.94
64	სუზუკი	ვიტარა		2018	48000	8.27	181.94
65	სუზუკი	ვიტარა		2018	48000	8.27	181.94
66	სუზუკი	ვიტარა		2018	48000	8.27	181.94
67	შკოდა	სუპერ B	GG206SG	2018	77000	13.27	291.94
68	შკოდა	სუპერ B	GG208SG	2018	77000	13.27	291.94
69	შკოდა	სუპერ B	GG205SG	2018	77000	13.27	291.94
70	შკოდა	სუპერ B	GG204SG	2018	77000	13.27	291.94
71	შკოდა	სუპერ B	GG207SG	2018	77000	13.27	291.94
	სულ ჯამი:				3926491.00	676.83	14890.26

შემსყიდველი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის ადმინისტრაციის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი (ადმინისტრაციის უფროსი)

ვ. ბიდლაძე

მიმწოდებელი:

სს „სადაზღვევო კომპანია უნისონი“ - ს

გენერალური დირექტორი

ვ. ახრახაძე

უნისონი
სადაზღვევო კომპანია
404393152
სს სადაზღვევო კომპანია უნისონი
JSC INSURANCE COMPANY UNISON

Insurance Company Unison JSC

Digitally signed by Insurance Company Unison JSC
Date: 2019.02.13 16:35:02 +04'00'

ხელწერილი
ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი 06.02.2019 წელი

ქვემოთ ხელის მომწერი და ხელშეკრულების გაფორმებაზე უფლებამოსილი პირი ვადასტურებ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკუთრებაში არსებული (დანართი N2-ით განსაზღვრული) ავტომანქანების დაზღვევის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებით ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და შესყიდვაში მონაწილეობით ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფები.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის ადმინისტრაციის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(ადმინისტრაციის უფროსი)

ვლადიმერ ჭიღლაძე

ხელწერილი
ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი 06.02.2019 წელი

ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკუთრებაში არსებული (დანართი N2-ით განსაზღვრული) ავტომანქანების დაზღვევის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებით ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე–8 მუხლის მოთხოვნებს და ტენდერში მონაწილეობით ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

შემსყიდველის მხრიდან მიმწოდებლის შერჩევაში მონაწილე და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი (ზედამხედველი) პირი:

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის ლოჯისტიკის სამსახურის მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (განყოფილების უფროსი) — გიორგი ქვაჩახია

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის ლოჯისტიკის სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი — ანა ყალიჩავა